

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!



დამატებითი სესია

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

ტექსტი №1

თავის „ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში“ **ერიხ როთჰაკერი** (1888 – 1962) აანალიზებს **მაქს შელერის** (1874 – 1928) მოძღვრებას ადამიანის შესახებ. „რა არის, შელერის მიხედვით, სიცოცხლე?“ – დასვამს კითხვას როთჰაკერი და განმარტავს: „შელერი იწყებს თავის გამოკვლევას ნატურფილოსოფიურად, მას აინტერესებს სიცოცხლის საფეხურები. ეს საფეხურებია: 1. გრძნობადი ლტოლვა, 2. ინსტინქტი, 3. ასოციალური მეხსიერება და 4. პრაქტიკული ინტელექტი.“ ამათგან როთჰაკერი პრაქტიკულ ინტელექტს დიდ ყურადღებას უთმობს. როგორც ცნობილია, შელერი, ეთანხმება რა **კიოლერს**, მიიჩნევს, რომ შიმპანზე აღწევს ამ საფეხურს. კიოლერს, საკუთარი ცდების შედეგად, გამოაქვს დასკვნა, რომ შიმპანზე თავისი განვითარებული ინტელექტით homo faber-ის საფეხურს უახლოვდება. homo faber-ი სწორედ პრაქტიკულ ინტელექტს ფლობს. საყურადღებოა, რომ მეცნიერთა სხვა ჯგუფის აზრით, შიმპანზის მოქმედება ინსტინქტისა და ასოციალური მეხსიერების საფუძველზე აიხსნება; ინტელექტი მხოლოდ ადამიანის მახასიათებელია. არც თავად როთჰაკერი ფიქრობს შელერისა და კიოლერის მსგავსად: მაგალითად, თუკი კიოლერის აზრით შიმპანზის მიერ ჯოხების ერთმანეთში გაყრა განჭვრეტას ადასტურებს, რაც „აჰა-განცდის“ საფუძველია, როთჰაკერი ამ შემთხვევას არ მიიჩნევს განჭვრეტის სასარგებლო არგუმენტად და კითხვას სვამს – იქნებ, ასეთი ქცევა მრავალი ცდის შედეგია? საერთოდ, მისი აზრით, ცხოველებში ინტელექტის გამოვლენა ძალზე იშვიათია.

როთჰაკერის აზრით, ადამიანსა და ცხოველს შორის არსობრივი განსხვავებაა და, უპირველეს ყოვლისა, ამის დასტურია ენა. ცხოველს არ შეუძლია გამოთქვას წინადადებები, რაც ბავშვსაც კი ძალუძს. როთჰაკერი არ ეთანხმება შელერის იმ დებულებას, რომლის თანახმად ცხოველსა და ადამიანს შორის არსობრივი განსხვავება გონის საფეხურზე იწყება. მას მიაჩნია, რომ ეს განსხვავება იწყება იმთავითვე, სიცოცხლის საფეხურზე, რადგან პრაქტიკული ინტელექტი, რომელსაც ფლობს ადამიანი, არსობრივად განსხვავებულია ცხოველის პრაქტიკული ინტელექტისაგან. როთჰაკერი იშველიებს **არნოლდ გელენს** (1904 – 1976). გელენი არ ეთანხმება შელერის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ცხოველისა და ადამიანის პრაქტიკულ ინტელექტს შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხობრივ-რაოდენობრივია. გელენი ფიქრობს, რომ ეს განსხვავება არსობრივია: რაც არ უნდა გაიზარდოს ცხოველის ინტელექტი, ეს ცვლილება არ შეეხება მის ძირითად კონსტიტუციას. ცხოველის ინტელექტი ვერ ამაღლდება ადამიანის ინტელექტამდე. საბუთები, რომლებიც მოჰყავს გელენს, როთჰაკერისთვის დამარწმუნებელია.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

როთჰაკერის მიხედვით, ადამიანსა და ცხოველს შორის განსხვავება შეიძლება დავინახოთ იმ კვლევის საფუძველზე, რომელიც ადამიანის პრეისტორიულ განვითარებას შეეხება. მხოლოდ ადამიანი იცნობს იარაღს, იგი იარაღს იყენებს არა შემთხვევით, არამედ გააზრებულად. მაგალითად, მაიმუნმა შეიძლება გამოიყენოს ჯოხი, მაგრამ ჯოხს კი არ შეინახავს სხვა შემთხვევისთვის, არამედ აგდებს, რადგან არ აქვს ცოდნა ჯოხის შესახებ.

იმის გამო, რომ ადამიანი იარაღს ქმნის, **ბენჯამინ ფრანკლინმა** ასე განსაზღვრა ადამიანის არსი: „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“. როთჰაკერის აზრითაც, სწორედ იარაღი უნდა მივიჩნიოთ ადამიანის პრეისტორიის მთავარ კრიტერიუმად, – დამუშავებულ ქვაში აუცილებლად არის ადამიანის კვალი; იარაღად ქცეული ქვა სწორედ ადამიანის ცნობიერად, დასახული მიზნით განპირობებული მოქმედების, შრომის შედეგი შეიძლება იყოს.

გაადამიანების პროცესში იარაღის მნიშვნელობა, დიდი ხანია, ცნობილია. მაგალითად, მას ყურადღება მიაქცია **კაპმა**. იარაღი კაპისათვის ადამიანის ხელის მსგავსია: ჯოხი გაგრძელებული ხელია, ქვა მაგარი მუშტია... როთჰაკერის აზრით, კაპმა „დასანახი სწორად დაინახა, მაგრამ ის ვერ ამჩნევს, რომ იარაღი არა მხოლოდ აძლიერებს ორგანოს, არამედ აგრეთვე ცვლის მას.“

როთჰაკერის მიხედვით, სპეციფიკურ-ადამიანურია არა მხოლოდ იარაღი, არამედ ცეცხლიც. ცეცხლის ცნობიერი გამოყენება ის შემოქმედებითი წერტილია, რომლითაც ადამიანი არსებითად განსხვავდება ცხოველისაგან.

თავის ნაშრომში როთჰაკერი საყურადღებოდ მიიჩნევს თავისი ეპოქის თანამედროვე თეორიებსაც, რომლებიც ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებებს წარმოაჩენს. ერთ-ერთი ასეთია ჰოლანდიელი ანატომის, **ბოლკის** ანთროპოლოგიური თვალსაზრისი. ბოლკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანისა და მაიმუნის ემბრიონები ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან, რასაც ვერ ვიტყვით ზრდასრულ მაიმუნსა და ადამიანზე. ეს ვითარება კი ეთანხმება ევოლუციის თეორიას და გვაფიქრებინებს, რომ ადამიანი მაიმუნისაგან არ წარმოშობილა, მაგრამ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ.

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ტექსტის მთავარ მიზანს?

- (ა) წარმოაჩინოს მეცნიერების – ერის როტჰაკერისა და მაქს შელერის – ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები.
- (ბ) ერთმანეთს შეუპირისპიროს მე-19 და მე-20 საუკუნეების მეცნიერთა მოსაზრებები ადამიანის არსის შესახებ.
- (გ) გაგვაცნოს ის მეცნიერები, რომელთა თეორიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, როგორც დარგის, განვითარებისათვის.
- (დ) გამოკვეთოს ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებათა კვლევის მნიშვნელოვანი როლი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ისტორიაში.
- (ე) განიხილოს მკვლევარ როტჰაკერის მიერ „ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში“ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება სხვა მეცნიერთა თვალსაზრისებთან მიმართებაში.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) კიოლერის საპირისპიროდ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შიმპანზის მოქმედება ინსტინქტისა და ასოციალური მეხსიერების საფუძველზე აიხსნება.
- (ბ) როტჰაკერი არ ეთანხმება შელერის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ კიოლერის დასკვნა შიმპანზის შესახებ მართებულია.
- (გ) დასკვნა, რომ შიმპანზე თავისი ინტელექტით homo faber-ის საფეხურს უახლოვდება, მკვლევარ მაქს შელერის ცდებს ეყრდნობა.
- (დ) ერიხ როტჰაკერი აანალიზებს მაქს შელერის მოძღვრებას ადამიანის შესახებ და სიცოცხლის საფეხურებიდან ინსტინქტს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.
- (ე) ერიხ როტჰაკერი შიმპანზის მიერ ჯოხების ერთმანეთში გაყრას „აჰა-განცდის“ სასარგებლო არგუმენტად მიიჩნევს.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) მკვლევარ კიოლერის აზრით, შიმპანზე, ისევე როგორც homo faber-ი, პრაქტიკულ ინტელექტს ფლობს.
- (ბ) როტჰაკერის განმარტებით, შელერი საკუთარ გამოკვლევას ნატურფილოსოფიურად წარმართავს და მისი ინტერესის საგანი სიცოცხლის საფეხურებია.
- (გ) როგორც როტჰაკერის, ისევე შელერისა და კიოლერის აზრით, ზოგადად, ცხოველებში ინტელექტის გამოვლენა ძალზე იშვიათია.
- (დ) როტჰაკერის მიხედვით, ენა ადამიანსა და ცხოველს შორის არსობრივი განსხვავების უპირველესი დასტურია.
- (ე) როტჰაკერის აზრით, შიმპანზის მიერ ჯოხების ერთმანეთში გაყრა განჭვრეტა კი არ არის, სავარაუდოდ, ასეთი ქცევა მრავალი ცდის შედეგია.

4. ტექსტის მიხედვით, შესაძლებელია ითქვას, რომ

- I. როტჰაკერი იზიარებს შელერის დებულებას, რომლის თანახმად ცხოველსა და ადამიანს შორის არსობრივი განსხვავება გონის საფეხურზე იწყება.
- II. მკვლევარ კიოლერის აზრით, ცხოველსა და ადამიანს შორის არსობრივი განსხვავება იწყება იმთავითვე, სიცოცხლის საფეხურზე.
- III. პრაქტიკული ინტელექტი, რომელსაც ფლობს ადამიანი, როტჰაკერის მიხედვით, არსობრივად განსხვავებულია ცხოველის პრაქტიკული ინტელექტისაგან.

ამათგან მართებულია

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ I და III.
- (დ) მხოლოდ III.
- (ე) მხოლოდ II და III.

5. ტექსტის მიხედვით, რომელ მეცნიერთა შორის დაპირისპირებას წარმოაჩენს ავტორის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა:
„რაც არ უნდა გაიზარდოს ცხოველის ინტელექტი, ეს ცვლილება არ შეეხება მის ძირითად კონსტიტუციას. ცხოველის ინტელექტი ვერ ამალღდება ადამიანის ინტელექტამდე“?

- (ა) როტჰაკერსა და გელენს შორის.
- (ბ) გელენსა და შელერს შორის.
- (გ) კიოლერსა და კაპს შორის.
- (დ) კიოლერსა და შელერს შორის.
- (ე) გელენსა და კიოლერს შორის.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) შელერი მიიჩნევს, რომ ცხოველისა და ადამიანის პრაქტიკულ ინტელექტს შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხობრივ-რაოდენობრივია.
- (ბ) გელენის მიხედვით, ცხოველისა და ადამიანის პრაქტიკულ ინტელექტს შორის განსხვავება არსობრივია.
- (გ) როტჰაკერისთვის მისაღებია ის არგუმენტები, რომლებიც გელენს ცხოველისა და ადამიანის პრაქტიკული ინტელექტის დახასიათების დროს მოჰყავს.
- (დ) შელერის თვალსაზრისები ეყრდნობა დაკვირვებას, რომ ცხოველს არ შეუძლია გამოთქვას წინადადება, რაც ბავშვსაც კი ძალუძს.
- (ე) ადამიანის პრეისტორიული განვითარების კვლევა, როტჰაკერის მიხედვით, ადამიანსა და ცხოველს შორის განსხვავებას ნათლად წარმოაჩენს.

7. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად ტექსტის პირველსა და მეორე აბზაცებს შორის მიმართებას?

- (ა) პირველ აბზაცში წარმოდგენილ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებას ავტორი განიხილავს და შეაფასებს მეორე აბზაცში.
- (ბ) მეორე აბზაცში ავტორი გვაცნობს პირველ აბზაცში გადმოცემული სამეცნიერო თეორიის დამადასტურებელი ცდის შედეგს.
- (გ) პირველ აბზაცში ავტორი ასახელებს იმ მკვლევარ ანთროპოლოგებს, რომელთა თეორიებს მეორე აბზაცში წარმოაჩენს.
- (დ) პირველ აბზაცში ავტორი გვაცნობს მკვლევართა მნიშვნელოვან მოსაზრებებს, მეორე აბზაცში კი წარმოაჩენს მათ წვლილს ანთროპოლოგიის ისტორიაში.
- (ე) პირველ აბზაცში წარმოდგენილია მოსაზრება, რომელსაც არ იზიარებს „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის“ ავტორი, მეორე აბზაცში კი ვეცნობით მისთვის მისაღებ სამეცნიერო პოზიციას.

8. ბენჯამინ ფრანკლინისეული განსაზღვრება: „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“,

- I. მკვლევარ როტჰაკერის თვალსაზრისის შესაბამისია.
- II. უპირისპირდება მკვლევარ კაპის შეხედულებებს.
- III. ამყარებს მოსაზრებას, რომ ცხოველისა და ადამიანის პრაქტიკულ ინტელექტს შორის განსხვავება ხარისხობრივ-რაოდენობრივია.

ამათგან მართებულია

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ II.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) მხოლოდ II და III.

9. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას არ გაიზიარებდა როთჰაკერი?

- (ა) შესაძლოა, მაიმუნმა გამოიყენოს ჯოხი, მაგრამ ის ჯოხს არ შეინახავს სხვა შემთხვევისთვის.
- (ბ) სამუშაო იარაღმა გააძლიერა ადამიანის ხელი, თუმცა ვერ განაპირობა მისი სახეცვლილება.
- (გ) იარაღად ქცეული ქვა ადამიანის მიერ ცნობიერად შესრულებული მოქმედების, შრომის შედეგია.
- (დ) მხოლოდ ადამიანი იყენებს იარაღს გააზრებულად, რადგან აქვს ცოდნა იარაღის შესახებ.
- (ე) ცეცხლის ცნობიერმა გამოყენებამ ადამიანი არსებითად განასხვავა ცხოველისაგან.

10. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ თვალსაზრისს იზიარებდა ჰოლანდიელი ანატომი ბოლკი?

- I. ადამიანისა და მაიმუნის ემბრიონები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან.
- II. ანატომიური კრიტერიუმით, მაიმუნი და ადამიანი კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს ზრდასრულობის ასაკში.
- III. მაიმუნსა და ადამიანს საერთო წინაპარი ჰყავდათ.

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) თითოეული.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) მკვლევარ ბოლკის ანთროპოლოგიური თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანი მაიმუნისაგან არ წარმოშობილა.
- (ბ) ადამიანის პრეისტორიის მკვლევართა მიერ აღმოჩენილი ყოველი დამუშავებული ქვა ადამიანის კვალის მიგნებას ადასტურებს.
- (გ) ადამიანისა და ცხოველის პრაქტიკული ინტელექტის შესახებ მსჯელობაში როთჰაკერი ეყრდნობა მკვლევარ კაპს და სრულად იზიარებს მის შეხედულებებს.
- (დ) როგორც იარაღის, ისე ცეცხლის ცნობიერი გამოყენება სპეციფიკური და არსებითი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა გაადამიანების პროცესისათვის.
- (ე) როთჰაკერის ნაშრომში განხილულია მისი თანამედროვე ეპოქის მეცნიერთა ისეთი თეორიებიც, რომლებიც ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებებს წარმოაჩენს.

ტექსტი №2

სინათლისა და ფერის შესწავლას ჯერ კიდევ **პითაგორელები** შეუდგნენ, მაგრამ მათ ნააზრევს ჩვენამდე არ მოუღწევია. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის – **პარმენიდესის** (ძვ. წ. 500 წ.) მიხედვით კი ფერების თამაშს სამყაროს დუალიზმი, ანუ სინათლისა და სიბნელის არსებობა განაპირობებს. მკვლევართა აზრით, ძველბერძნული ქრომატული ხედვის შესაბამისად, მხოლოდ შავი და თეთრი მიიჩნევა ფერებად, ხოლო ყველა დანარჩენი არის ჩრდილი ამ ორ უკიდურესობას შორის.

ემპედოკლესი (ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანები) მთელ სამყაროში ყველაფრის შემადგენლად ოთხ ელემენტს – მიწას, წყალს, ცეცხლსა და ჰაერს – მიიჩნევდა. იმავდროულად, მას სწამდა, რომ „მსგავსი მსგავსს შობს“. მისი აზრით, თვალი სწორედ ამ ოთხი ელემენტის ერთობლიობა იყო იმდენად, რამდენადაც მას სამყაროში არსებული ეს ოთხი ელემენტი უნდა აღექვა. როგორც **თეოფრასტოსი** გადმოგვცემს, ემპედოკლესის მიხედვით, თეთრი ცეცხლის ფერი იყო, ხოლო შავი – წყლისა. თვალის შიდა ნაწილი ცეცხლისა და წყლისგან შედგებოდა. ცეცხლი თეთრს აღიქვამდა, ხოლო წყალი – შავს. **არისტოტელეს** გადმოცემით, ემპედოკლესი მიიჩნევდა, რომ ღია ფერის თვალს ცეცხლის რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდა და ღამით უკეთ ხედავდა, მაშინ, როცა მუქი თვალი უფრო მეტ წყალს შეიცავდა და ღამით ბუნდოვნად ხედავდა, ხოლო დღისით – უკეთ.

ზოგიერთი კომენტატორი ემპედოკლესს მიაკუთვნებდა ოთხი პირველადი ფერის თეორიასაც: „ოთხი ფერი, რაოდენობით ელემენტების მსგავსი, თეთრი, შავი, წითელი, ოქრა (ყვითელი).“ დღეისთვის ცნობილია, რომ ეს მოსაზრება შეცდომით მიეწერებოდა ემპედოკლესს და მისი ავტორი სინამდვილეში **დემოკრიტეა**. ირვინის განმარტებით, ემპედოკლესი მხოლოდ ორი ფერის, თეთრისა და შავის, განსაზღვრებით შემოიფარგლა.

ატომისტი **დემოკრიტე** იყო პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც ფერთა თეორიის შექმნა სცადა. გარდა იმისა, რომ მან ოთხი ძირითადი ფერის (თეთრი, შავი, წითელი, მოყვითალო-მომწვანო) არსებობა აღიარა, განაცხადა, რომ ფერს ატომების ფორმა განაპირობებდა. თეთრი ატომები იყო სწორი, გლუვი, გამჭვირვალე, ხოლო შავი კი – უხეში, უსწორმასწორო. წითელი ატომები სიციხისას ჰგავდა, ოღონდ უფრო დიდი იყო. მოყვითალო-მომწვანოსთან დაკავშირებით კი დემოკრიტემ ერთგვარად უღალატა თავის შეხედულებას, რადგან იგი მყარისა და ცარიელის კომბინაციად მიიჩნია და ფორმის მიხედვით არ განსაზღვრა. იმავდროულად, დემოკრიტემ ყველა დანარჩენი ფერი ამ ოთხი ძირითადი ფერის კომბინაციად აღიარა. მისი აზრით, სწორედ ეს ოთხი პირველადი ფერი განაპირობებდა სიკაშკაშეს, ბრწყინვალეობასა და ნაჯერობას, ანუ ინტენსიურობას, რასაც ფილოსოფოსი ფერის ნიუანსებზე უფრო მაღლა აყენებდა.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

პლატონი ფერთა საკუთარ თეორიას გვთავაზობს, რომელსაც აშკარად ეტყობა დემოკრიტეს გავლენა. ისიც ოთხ ფერს ასახელებს სამყაროში არსებული ფერების საფუძვლად, თუმცა, დემოკრიტესაგან განსხვავებით, პლატონი თეთრის, შავისა და წითლის გარდა, ძირითად ფერად მიიჩნევს „კაშკაშას, ბრწყინვალეს“, და არა – „მოყვითალო-მომწვანოს“. ეს პრინციპული განსხვავებაა.

შემდგომში **არისტოტელემ** განაცხადა, რომ ფერები თეთრისა შავის შერევით მიიღება. მისი აზრით, ამ ორ უკიდურესობას შორის არის არა ფერთა განუსაზღვრელი რაოდენობა, არამედ ხუთი განსაზღვრული ფერი: ყვითელი, წითელი, მეწამული, მწვანე და ლურჯი. შესაბამისად, ფერთა რაოდენობა შვიდს აღწევს, ხოლო ფერის სხვა ნიუანსები მათი კომბინაციებით არის განპირობებული. დღევანდელი გადასახედიდან, არისტოტელეს მიერ დადგენილი ფერები თითქმის შეესაბამება სპექტრის ძირითად ფერებს (არისტოტელეს ფერთა სკალას აკლია ნარინჯისფერი). როგორც ვხედავთ, ფილოსოფოსმა იცოდა, რომ ფერების ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ისინი შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მან შეინარჩუნა ტრადიციული წყვილი – შავი/თეთრი, და, პარალელურად, აღიარა ფერის გრადაცია. შემდეგ არისტოტელეს შვიდფეროვანი სკალით **თეოფრასტოსი** დაინტერესდა. მან თავის ნაშრომში წინამორბედნი გააკრიტიკა, ხოლო არისტოტელეს შვიდფეროვანი სკალის თეორია გაიზიარა...

თანამედროვე ადამიანი ფერებს განალაგებს ისე, როგორც ამას სპექტრში ხედავს (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი) და ერთმანეთისაგან განარჩევს ძირითადად და დამატებით ფერებს. ძველი ბერძნები კი ფერებს ათავსებდნენ ნათლიდან ბნელის მიმართულებით, ანუ თეორიულად ადამიანს თეთრის საშუალებით შეეძლო სხვადასხვა ფერის მიღება მანამ, სანამ მას მხოლოდ შავი არ დარჩებოდა. თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებით, ანტიკური ეპოქის თეორეტიკოსები ფერს „ატომთა მოძრაობის შედეგად“ წარმოაჩენდნენ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: თანამედროვე მეცნიერება ფერის განმარტებისას საგანგებოდ გამოკვეთს ორ ფაქტორს – ფერის ოპტიკურ ბუნებასა და ფორმასთან მის კავშირს, რაზეც ჯერ კიდევ **პლატონმა** გაამახვილა ყურადღება. მისი განმარტებით, „ფორმა არის ის, რასაც ფერი მუდამ თან სდევს“, ხოლო „ფერი მხედველობით აღიქმება და მას შეესაბამება“. შესაბამისად, პლატონს ესმოდა ფერის ოპტიკური ბუნება და ის, რომ მის არსებობას მატერიალურ ობიექტებთან კავშირი განაპირობებს.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ტექსტის მთავარ მიზანს?

- (ა) ქრონოლოგიურ ჭრილში მოგვაწოდოს და შეაფასოს არსებითი ცნობები ფერთა ძველბერძნული თეორიების შესახებ.
- (ბ) ერთმანეთს შეადაროს სინათლისა და ფერის შესწავლაში გამოკვეთილი თანამედროვე და ძველი ეპოქის მეცნიერთა თვალსაზრისები.
- (გ) კრიტიკულად განიხილოს ფერის შესახებ არისტოტელეს წინამორბედ ფილოსოფოსთა წარმოდგენები.
- (დ) წარმოაჩინოს თანამედროვე მკვლევართა აზრი ძველბერძნული ქრომატული ხედვის თავისებურების შესახებ.
- (ე) გაგვაცნოს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე, რომელმაც ფერთა პირველი თეორია შექმნა და შეაფასოს მისი თვალსაზრისი.

13. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) პლატონმა ფერთა საკუთარ თეორიაში დემოკრიტეს თვალსაზრისები მთლიანად გაიზიარა.
- (ბ) ძველი ბერძენი ფილოსოფოსის – პარმენიდესის მიხედვით, სხვადასხვა ფერს ატომების ფორმა განაპირობებდა.
- (გ) ოთხი პირველადი ფერის თეორიის ავტორად ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – ემპედოკლესი უნდა მივიჩნიოთ.
- (დ) თეოფრასტოსის გადმოცემის მიხედვით, ემპედოკლესს მიაჩნდა, რომ შავი ცეცხლის ფერი იყო, თეთრი კი – წყლის.
- (ე) ცნობილია, რომ პითაგორელები იკვლევდნენ სინათლესა და ფერს, თუმცა მათი თვალსაზრისი თანამედროვე ეპოქისთვის უცნობია.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ძველბერძენთა წარმოდგენით, სამყაროს დუალიზმი, ანუ სინათლისა და სიბნელის არსებობა მხოლოდ ოთხი ძირითადი ფერის არსებობას განაპირობებდა.
- (ბ) ემპედოკლესის აზრით, ღია ფერის თვალი ღამით უკეთ ხედავდა, რადგან მას, მუქ თვალთან შედარებით, ცეცხლის ელემენტის რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდა.
- (გ) დემოკრიტესაგან განსხვავებით, პლატონი ფერების ერთ-ერთ საფუძვლად აღიარებდა „კაშკაშას, ბრწყინვალეს“ და მას ერთ-ერთ ძირითად ფერად მიიჩნევდა.
- (დ) შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ემპედოკლესი თავის მსჯელობაში მხოლოდ ორი ფერის, თეთრისა და შავის, განმარტებით შემოიფარგლა.
- (ე) ფილოსოფოსი დემოკრიტე ნაჯერობას, ანუ ინტენსიურობას ფერის სხვა ნიუანსებზე უფრო მაღლა აყენებდა.

15. ტექსტის მიხედვით, შესაძლებელია ითქვას, რომ

- I. ფერების შესახებ ემპედოკლესის მოსაზრებათა გაცნობის მნიშვნელოვანი წყარო თეოფრასტოსისა და არისტოტელეს კომენტარებია.
- II. არისტოტელეს აზრით, თეთრისა და შავის ორ უკიდურესობას შორის სულ ხუთი განსაზღვრული ფერია.
- III. პლატონი, დემოკრიტესაგან განსხვავებით, ძირითად ფერად არ მიიჩნევს „მოყვითალო-მომწვანოს“.

ამათგან მართებულია

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ I და III.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) თითოეული.

16. ტექსტის მიხედვით, რომელ ფილოსოფოსთა შეხედულებებს შორის სხვაობას წარმოაჩენს ავტორის ფრაზა – „ეს პრინციპული განსხვავებაა“?

- (ა) პარმენიდესსა და ემპედოკლესს შორის.
- (ბ) დემოკრიტესა და პლატონს შორის.
- (გ) დემოკრიტესა და არისტოტელეს შორის.
- (დ) არისტოტელესა და თეოფრასტოსს შორის.
- (ე) პლატონსა და არისტოტელეს შორის.

17. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) დემოკრიტეს ყველა დანარჩენი ფერი ოთხი ძირითადი ფერის კომბინაციად მიაჩნდა.
- (ბ) დემოკრიტეს მიერ დადგენილი ფერების სკალა დიდწილად შეესაბამება სპექტრის თანამედროვე ფერებს.
- (გ) დემოკრიტეს მიხედვით, თეთრი ატომები სწორი და გლუვი იყო, ხოლო შავი ატომები – უსწორმასწორო.
- (დ) როგორც დემოკრიტე, ისე პლატონი თეთრს, შავსა და წითელს ძირითად ფერებად მიიჩნევდნენ.
- (ე) დემოკრიტეს აზრით, წითელი ფერის ატომები ჰგავდა სიცხის ატომებს, ოღონდ უფრო დიდი იყო.

18. ტექსტის მიხედვით, დემოკრიტემ ერთგვარად უღალატა თავის შეხედულებას, როდესაც

- I. „კაშკაშა, ბრწყინვალე“ ძირითად ფერად არ მიიჩნია.
- II. განაცხადა, რომ ფერს ატომების ფორმა განაპირობებდა.
- III. მოყვითალო-მომწვანო ფერი მყარისა და ცარიელის კომბინაციად მიიჩნია.

ამათგან მართებულია

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) მხოლოდ II და III.

19. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- I. პლატონმა შეიქმნო ფერის ოპტიკური ბუნება და ფორმასთან მისი კავშირი.
- II. არისტოტელემ შეინარჩუნა შავისა და თეთრის ტრადიციული წყვილი და ფერის გრადაციაც აღიარა.
- III. ჯერ კიდევ პითაგორელები ხვდებოდნენ, რომ ფერის არსებობას მატერიალურ ობიექტებთან მისი კავშირი განაპირობებს.

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ I და II.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) თითოეული.

20. ტექსტის მიხედვით, ძველბერძენ ფილოსოფოსთაგან, ვინ ფლობდა ცოდნას იმის შესახებ, რომ ფერების ნაწილი დაკავშირებულია ერთმანეთთან და შესაძლებელია მათი ჯგუფებად დაყოფა?

- (ა) ემპედოკლესი.
- (ბ) დემოკრიტე.
- (გ) პლატონი.
- (დ) არისტოტელე.
- (ე) პარმენიდესი.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად ტექსტის ბოლო ორ აბზაცს შორის მიმართებას?

- (ა) წინა აბზაცში წარმოდგენილი სხვადასხვა შეხედულება ავტორმა შეაფასა მომდევნო აბზაცში.
- (ბ) მომდევნო აბზაცში ავტორი გვაცნობს წინა აბზაცში გადმოცემული თეორიის გამამყარებელ არგუმენტს.
- (გ) მომდევნო აბზაცში ავტორი ასახელებს იმ ძველბერძენ ფილოსოფოსს, რომლის თეორიაც განიხილა წინა აბზაცში.
- (დ) წინა აბზაცში ავტორი გამოკვეთს განსხვავებას თანამედროვე და ძველბერძნულ შეხედულებებს შორის, მომდევნო აბზაცში კი მსგავსებას წარმოაჩენს.
- (ე) წინა აბზაცში წარმოდგენილია თვალსაზრისი, რომელსაც ავტორი არ იზიარებს, ხოლო მომდევნო აბზაცში საკუთარ განსხვავებულ პოზიციას გვაცნობს.

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

22. მოცემულია წინადადება:

- ჰოლივუდის რომელიღაც სტუდიის თითოეული ფილმი დოკუმენტურია.

ჩამოთვლილთაგან რომელი ეწინააღმდეგება მოცემულ წინადადებას?

- I. ჰოლივუდის რომელიღაც სტუდიის რომელიღაც ფილმი არ არის დოკუმენტური.
- II. ჰოლივუდის თითოეული სტუდიის რომელიღაც ფილმი არ არის დოკუმენტური.
- III. ჰოლივუდის რომელიღაც სტუდიის არცერთი ფილმი არ არის დოკუმენტური.

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და II.
- (ე) მხოლოდ I და III.

23. მწკრივში მხოლოდ ხუთი ხეა: კედარი, ლარიქსი, ნაძვი, სოჭი და ღვია. ცნობილია, რომ:

- ნაძვსა და სოჭს შორის მხოლოდ ერთი ხეა; მათგან მხოლოდ ნაძვია კედრის უშუალოდ გვერდით.
- ლარიქსსა და ღვიას შორის იმდენივე ხეა, რამდენიც კედარსა და სოჭს შორის.

რომელი ხეა მწკრივის შუაში?

(ა) კედარი

(ბ) ლარიქსი

(გ) ნაძვი

(დ) სოჭი

(ე) ღვია

24. მოცემულია:

- თითოეული რუსთაველი თანამშრომელი დილის ცვლაში მუშაობს.
- არცერთი თბილისელი თანამშრომელი არ მუშაობს დილის ცვლაში.
- არცერთი თბილისელი თანამშრომელი არ იყენებს კორპორატიულ ტრანსპორტს.
- ყოველი თანამშრომელი, რომელიც თბილისელი არაა, კორპორატიულ ტრანსპორტს იყენებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამოდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) თუ თანამშრომელი რუსთაველი არ არის, მაშინ ის თბილისელია.
- (ბ) დილის ცვლაში მუშაობენ მხოლოდ რუსთაველი თანამშრომლები.
- (გ) თითოეული რუსთაველი თანამშრომელი კორპორატიულ ტრანსპორტს იყენებს.
- (დ) ყოველი თანამშრომელი, რომელიც კორპორატიულ ტრანსპორტს იყენებს, რუსთაველია.
- (ე) ყოველი თანამშრომელი, რომელიც კორპორატიულ ტრანსპორტს იყენებს, დილის ცვლაში მუშაობს.

25. ბოლო წლების მონაცემებით, წიგნის მაღაზიებში მხატვრული ლიტერატურის გაყიდვიდან შემოსავალმა დაიკლო, მიუხედავად მხატვრული ლიტერატურის კითხვის წახალისების აქტიური ეროვნული კამპანიისა. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული კამპანია წარუმატებელი გამოდგა.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დააყენებს **ექვქვეშ** მოცემული დასკვნის მართებულობას?

- (ა) აღნიშნული კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა და ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავდა.
- (ბ) მოცემულ პერიოდში გაიზარდა ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან მხატვრული ლიტერატურის ჩამოტვირთვების რაოდენობა.
- (გ) ბოლო დროს წიგნის მაღაზიებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა წიგნებზე კარიერული განვითარებისა და ბიზნესის შესახებ.
- (დ) ბოლო წლებში წიგნის მაღაზიებს მოუწიათ ბიოგრაფიულ და ისტორიულ წიგნებზე ფასების მნიშვნელოვნად შემცირება.
- (ე) ამავე მონაცემებით, გაყიდულ წიგნებს შორის მხატვრული ლიტერატურის წიგნების წილი ბოლო წლებში არ გაზრდილა.

26. მოცემულია წინადადება:

- თუ რაიმე სიტყვა შვიდზე მეტი ასოსგან შედგება და მასში მინიმუმ სამი სხვადასხვა ხმოვანია, მაშინ ეს სიტყვა მთავრდება „ა“ ან „ო“ ასოთი.

ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვა გამოდგება იმის დასტურად, რომ მოცემული წინადადება მცდარია?

- I. დამატებითი
- II. საგამოცდო
- III. სესია

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და II.
- (ე) თითოეული.

შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ ხმოვნებია: „ა“, „ე“, „ი“, „ო“, „უ“.

27. მოცემულია მსჯელობები:

- I. ჭის წყლის ყოველი სინჯი მსხლისებრ კოლბაში ინახება, ხოლო ნაკადულის წყლის ყოველი სინჯი – კონუსისებრ კოლბაში. რადგან მზიას მიერ აღებული ერთი სინჯი ჭის წყლისაა, ხოლო მეორე – ნაკადულის წყლის, უნდა დავასკვნათ, რომ მზიას მიერ აღებული სინჯები სხვადასხვა ტიპის კოლბაში ინახება.
- II. ჭის წყლის ყოველი სინჯი მსხლისებრ კოლბაში ინახება, ხოლო ნაკადულის წყლის ყოველი სინჯი – კონუსისებრ კოლბაში. რადგან მზიას მიერ აღებული ერთი სინჯი მსხლისებრ კოლბაში ინახება, ხოლო მეორე – კონუსისებრ კოლბაში, უნდა დავასკვნათ, რომ მზიას მიერ აღებული სინჯები ერთი და იმავე წყაროდან არ არის.
- III. ჭის წყლის ყოველი სინჯი მსხლისებრ კოლბაში ინახება, ხოლო ნაკადულის წყლის ყოველი სინჯი – კონუსისებრ კოლბაში. რადგან მზიას მიერ აღებული ერთი სინჯი მსხლისებრ კოლბაში ინახება, ხოლო მეორე – კონუსისებრ კოლბაში, უნდა დავასკვნათ, რომ მზიას მიერ აღებული ერთი სინჯი ჭის წყლისაა, ხოლო მეორე – ნაკადულის წყლის.

თუ ცნობილია, რომ მზიამ სულ ორი სინჯი აიღო, მოცემულ მსჯელობათაგან რომელია ლოგიკურად მართებული?

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ I და II.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) თითოეული.

28. მე-19 საუკუნის ლონდონის რამდენიმე უბანში იფეთქა ქოლერის ეპიდემიამ. დაავადება სწრაფად მოედო ამ უბნებს და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. დამკვიდრებული აზრის თანახმად, ქოლერის გავრცელების მიზეზი „ცუდი“ ჰაერი იყო. ექიმ ჯონ სნოუს მოსაზრებით კი ქოლერის გავრცელების მიზეზი სასმელი წყალი იყო.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი გააძლიერებდა სნოუს ვარაუდის მართებულობას?

- (ა) ზოგადად, დაბინძურებული სასმელი წყლით დაავადების ალბათობა დაახლოებით ტოლია დაბინძურებული ჰაერით დაავადების ალბათობის.
- (ბ) იმ უბნებში, სადაც ქოლერა სწრაფად გავრცელდა, ჰაერი დიდად არ განსხვავდებოდა სხვა უბნებში არსებული ჰაერისგან.
- (გ) მე-19 საუკუნის ლონდონის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთნაირი ხარისხის სასმელ წყალზე მიუწვდებოდა ხელი.
- (დ) ქოლერით დაზარალებულ უბნებში მოსახლეობა სასმელად და სხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის წყალს ამ უბნების საერთო ტუმბოდან მოიხმარდა.
- (ე) ქოლერით დაზარალებული უბნების მოსახლეობა უფრო მეტ წყალს მოიხმარდა, ვიდრე სხვა უბნების მოსახლეობა.

ამოცანები 29-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

იუნესკოს მემკვიდრეობის თემაზე სამი – **A, B** და **C** – სამახსოვრო მონეტა დამზადდა. ცნობილია, რომ:

- ყოველი მონეტის თითოეულ მხარეს, ავერსსა და რევერსზე, არის ერთი გამოსახულება შემდეგი ოთხიდან: უშგული, მცხეთა, ქუთაისი, კოლხეთის დაბლობი; თითო მხარეს – თითო.
- თითოეული მონეტის ავერსსა და რევერსზე ერთმანეთისაგან განსხვავებული გამოსახულებებია.
- მონეტების ავერსებზე სამი სხვადასხვა გამოსახულებაა. მონეტების რევერსებზეც სამი სხვადასხვა გამოსახულებაა.
- C მონეტაზე ერთ-ერთი გამოსახულება ქუთაისია.
- ერთ ავერსზე მაინც კოლხეთის დაბლობია.
- B მონეტის ავერსზე მცხეთაა.
- არცერთი მონეტის რევერსზე არ არის მცხეთა.

29. თუ **B** მონეტაზე გამოსახულია ქუთაისი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) A მონეტის ავერსზე კოლხეთის დაბლობია.
- (ბ) C მონეტის ავერსზე კოლხეთის დაბლობია.
- (გ) A მონეტის რევერსზე კოლხეთის დაბლობია.
- (დ) C მონეტის რევერსზე ქუთაისია.
- (ე) C მონეტის რევერსზე უშგულია.

30. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) კოლხეთის დაბლობი მხოლოდ B მონეტაზეა.
- (ბ) არცერთ ავერსზე არ არის ქუთაისი.
- (გ) არცერთ რევერსზე არ არის ქუთაისი.
- (დ) რომელიღაც ორი მონეტიდან ერთის ავერსზე იქნება ქუთაისი, მეორის ავერსზე – უშგული.
- (ე) B მონეტის ავერსზე ისეთივე გამოსახულებაა, როგორც A მონეტის რევერსზე.

31. თუ C მონეტის რევერსზე უშგულია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) A მონეტაზე კოლხეთის დაბლობია.
- (ბ) კოლხეთის დაბლობი იქნება რომელიღაც ავერსზეც და რომელიღაც რევერსზეც.
- (გ) B მონეტაზე კოლხეთის დაბლობია.
- (დ) რომელიღაც მონეტის ავერსზე ქუთაისია.
- (ე) უშგული იქნება რომელიღაც ავერსზეც და რომელიღაც რევერსზეც.

ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ლიტერატურული კონკურსის ოთხ – I, II, III, IV – კრებულში სულ შეტანილია ოთხი ფინალისტის თოთხმეტი ნაწარმოები: კალანდაძის, ლომაიას, პატაშურის 3-3, ხოლო ჟვანიას 5 ნაწარმოები.

- თითოეულ კრებულში ორი, ოთხი ან ექვსი ნაწარმოებია.
- კალანდაძის ნაწარმოები არ არის არც III და არც IV კრებულში.
- პატაშურის ნაწარმოები არ არის არც I და არც II კრებულში.
- ყოველ კრებულში, რომელშიც ლომაიას ნაწარმოებია, არის კალანდაძის ნაწარმოებიც.
- ყოველ კრებულში, რომელშიც კალანდაძის ნაწარმოებია, არის ლომაიას ნაწარმოებიც.
- თითოეულ კრებულში ან პატაშურის ნაწარმოებიც არის და ჟვანიასიც, ან ამათგან არცერთის.

32. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება აღწერდეს სწორად I და III კრებულების შემადგენლობას?

- (ა) I: კალანდაძის 2 და ლომაიას 2 ნაწარმოები; III: პატაშურის 3 და ჟვანიას 1 ნაწარმოები.
- (ბ) I: კალანდაძის 1 და ლომაიას 2 ნაწარმოები; III: პატაშურის 1 და ჟვანიას 3 ნაწარმოები.
- (გ) I: კალანდაძის 1 და ლომაიას 1 ნაწარმოები; III: ლომაიას 2 და ჟვანიას 2 ნაწარმოები.
- (დ) I: კალანდაძის 2 და ლომაიას 2 ნაწარმოები; III: პატაშურის 1 და ჟვანიას 4 ნაწარმოები.
- (ე) I: კალანდაძის 2 და ლომაიას 2 ნაწარმოები; III: პატაშურის 2 და ჟვანიას 2 ნაწარმოები.

33. ჟვანიას მაქსიმუმ რამდენი ნაწარმოები შეიძლება იყოს III კრებულში?

(ა) 1

(ბ) 2

(გ) 3

(დ) 4

(ე) 5

34. თუ I და IV კრებულებში ერთი და იმავე რაოდენობის ნაწარმოებია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

(ა) I კრებულში ექვსი ნაწარმოებია.

(ბ) II კრებულში ექვსი ნაწარმოებია.

(გ) III კრებულში ჟვანიას მხოლოდ სამი ნაწარმოებია.

(დ) III კრებულში ჟვანიას მხოლოდ ერთი ნაწარმოებია.

(ე) IV კრებულში ჟვანიას მხოლოდ ოთხი ნაწარმოებია.

35. თუ III კრებულში 6 ნაწარმოებია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) I კრებულში კალანდაძის მინიმუმ ორი ნაწარმოებია.
- (ბ) II კრებულში ოთხი ნაწარმოებია.
- (გ) III კრებულში პატაშურის იმდენივე ნაწარმოებია, რამდენიც ჟვანიასი.
- (დ) IV კრებულში პატაშურის იმდენივე ნაწარმოებია, რამდენიც ჟვანიასი.
- (ე) IV კრებულში ჟვანიას ორი ნაწარმოებია.

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----


36. განმარტების თანახმად ჩავთვალოთ, რომ ერთი ქართული სიტყვა არ აღემატება მეორე ქართულ სიტყვას, თუ მეორე სიტყვის ასოთა რაოდენობა უნაშთოდ იყოფა პირველი სიტყვის ასოთა რაოდენობაზე.

ამ განმარტების მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი ქართული სიტყვებიდან, რომელი არ აღემატება სიტყვას „თვრამეტი“?

- I. „ცხრა“
- II. „ათი“
- III. „ოცდაერთი“

- (ა) არცერთი.
- (ბ) მხოლოდ I.
- (გ) მხოლოდ I და III.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) თითოეული.

37. a სმ² ფართობის მქონე ABCD ტრაპეციის (სადაც $BC \parallel AD$) თითოეული წვეროდან, როგორც ცენტრიდან, ტრაპეციის სიბრტყეში თითო წრეა შემოწერილი ისე, როგორც ეს ნახაზზეა გამოსახული. ამასთან, A და B ცენტრების მქონე წრეები ერთმანეთის ტოლია, ხოლო C და D ცენტრების მქონე წრეები – ერთმანეთის ტოლი. ტრაპეციის რუხი ფერით შეღებილი ნაწილის ფართობი b სმ²-ის ტოლია. იპოვეთ წრეების შავი ფერით შეღებილი ნაწილების ფართობთა ჯამი.



- (ა) $3(a - b)$ სმ²
- (ბ) $4(a - b)$ სმ²
- (გ) $3\pi(a - b)$ სმ²
- (დ) $4\pi(a - b)$ სმ²
- (ე) $\frac{3\pi(a + b)}{8}$ სმ²

38. ორ პარალელურ წრფეზე სულ 7 წერტილია მონიშნული. მაქსიმუმ რამდენი ოთხკუთხედი შეიძლება არსებობდეს ისეთი, რომლის თითოეული წვეროც ერთ-ერთი ამ წერტილთაგანი იქნება?

(ა) 10

(ბ) 12






(გ) 16

(დ) 18

(ე) 21

39. სტუდენტთა ჯგუფის თითოეულმა წევრმა გამოცდა ჩააბარა. გამოცდაზე მაქსიმალური შეფასება 25 ქულას შეადგენდა, მინიმალური კი – 0 ქულას. ცნობილია, რომ: 5 ქულაზე ნაკლები მიიღო 3-მა სტუდენტმა, 10-ზე ნაკლები – 7-მა, 15-ზე ნაკლები – 13-მა, 25-ზე ნაკლები – 19-მა, ხოლო 25 ქულა მიიღო მხოლოდ 1-მა სტუდენტმა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან მხოლოდ ერთზეა სწორად ნაჩვენები ამ ჯგუფის სტუდენტების რაოდენობათა განაწილება აღნიშნულ გამოცდაზე მიღებული ქულების მიხედვით. რომელია ეს დიაგრამა?



(ა) დიაგრამა 1

(ბ) დიაგრამა 2

(გ) დიაგრამა 3

(დ) დიაგრამა 4

(ე) დიაგრამა 5


40. მოცემულია ABCD კვადრატი. ამ კვადრატის რაღაც ნაწილი (რომელიც 12-კუთხედს წარმოადგენს) გამუქებულია, დარჩენილი ნაწილი კი ოთხი დამტრიხული კვადრატისგან შედგება (იხ. ნახაზი).

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. გამუქებული ფიგურის ფართობი 114 სმ^2 -ის ტოლია.
- II. გამუქებული ფიგურის პერიმეტრი 48 სმ -ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ ABCD კვადრატის ფართობი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.



41. გვაქვს კვადრატი და მართკუთხედი, რომელიც არ არის კვადრატი. ამ ფიგურების შესახებ მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ კვადრატის $\frac{I}{\text{-----}}$, მაშინ კვადრატის ფართობი $\frac{II}{\text{-----}}$.“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი სვეტიდან:

I სვეტი

M. დიაგონალი ნაკლებია მართკუთხედის დიაგონალზე

N. დიაგონალი ტოლია მართკუთხედის დიაგონალის

II სვეტი

P. ნაკლებია მართკუთხედის ფართობზე

Q. ტოლია მართკუთხედის ფართობის

R. მეტია მართკუთხედის ფართობზე

აარჩიეთ თითო ფრაგმენტი და ჩასვით ისინი შესაბამის გამოტოვებულ ადგილებზე ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(ა) $M \rightarrow P$

(ბ) $M \rightarrow R$

(გ) $N \rightarrow P$

(დ) $N \rightarrow Q$

(ე) $N \rightarrow R$

42. 1-ელ ნახაზზე გამოსახული მონაკვეთი, რომლის ერთი ბოლო მართკუთხა საკოორდინატო სისტემის სათავეა, მეორე კი $A(t_1; s_1)$ წერტილია, წარმოადგენს მუდმივი სიჩქარით მოძრავი ავტომობილის მიერ გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს.

მე-2 ნახაზზე გამოსახული მონაკვეთი, რომლის ერთი ბოლო მართკუთხა საკოორდინატო სისტემის სათავეა, მეორე კი $B(t_2; s_2)$ წერტილია, წარმოადგენს მუდმივი სიჩქარით მოძრავი ავტომობუსის მიერ გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს.


შემდეგი ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმის დასადგენად, თუ რამდენჯერ მეტი იყო ავტომობილის სიჩქარე ავტომობუსის სიჩქარეზე?

I. $\frac{s_1}{s_2} = 2.$


II. $\frac{t_1}{t_2} = 1.$

III. $s_1 \cdot s_2 = 2.$

IV. $t_1 \cdot t_2 = 1.$



ნახაზი 1



ნახაზი 2

- (ა) I და II (ბ) I და III (გ) I და IV (დ) II და III (ე) III და IV

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----